ანგარიში წალკის მუნიციპალიტეტის მერის მიერ

2024 წლის 1 ნოემბერიდან 2025 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ

ქ. წალკა 28 ოქტომბერი 2025 წ.

მოგესალმებით თითოეულ თქვენგანს და წარმოგიდგენთ წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე გაწეული სამუშაოს ამსახველ ანგარიშს.
ვინაიდან 2025 წელი ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევის წელი, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლიერება გამოვხატო ჩვენი მოსახლეობის მიმართ, რომელმაც უკვე მეოთხედ გამომიცხადა ნდობა და დამაჯერებელი უმრავლესობით ამირჩია. ჩემი მერობის წლებში ჩვენ, გამოწვევებითა და წარმატებებით აღსავსე უმნიშვნელოვანესი წლები ერთად გამოვიარეთ და განვახორციელეთ არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი. წინ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე და პროექტი გველის. ჩემთვის პრიორიტეტი ყოველთვის იყო და იქნება ჩემი მოსახლეობის ნდობა და მხარდაჭერა. სწორედ ეს მხარდაჭერა მაძლევს ძალას, ყოველდღიურად ვიბრძოლო წალკის უკეთესი მომავლისა და მისი განვითარების ახალი ეტაპისთვის. ჩემი მიზანია მშობლიური მუნიციპალიტეტი ვაქციო თანამედროვე, უსაფრთხო და სიცოცხლით სავსე მზარდ მუნიციპალიტეტად, სადაც ყველას ექნება შესაძლებლობა ღირსეული ცხოვრებისა და განვითარებისათვის.

წალკის მუნიციპალიტეტის მერია თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიალობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრინციპებით. მუშაობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყოველთვის მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით იგეგმება.
ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად გვესახება ტურიზმის სფეროს გაძლიერება და მისი პოტენციალის სრულფასოვანი ათვისება. წალკის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტებით, ისტორიულ-კულტურული ძეგლებითა და ეკოტურისტული რესურსებით, რაც ქმნის რეალურ საფუძველს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის, დასაქმების ხელშეწყობისა და მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდისთვის.

2025 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტურისტულ ობიექტებზე დაფიქსირდა 107 661 ვიზიტორი, მათ შორის 30 936 ქართველი და 76 775 უცხოელი ტურისტი. აღნიშნული მონაცემები ნათლად მიუთითებს, რომ წალკა სულ უფრო მეტად იკავებს ღირსეულ ადგილს ქვეყნის ტურისტულ რუკაზე. განსაკუთრებით მაღალი ვიზიტორთა ნაკადი დაფიქსირდა წალკის კანიონის ტურისტულ ზონაში, რაც ადასტურებს ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელობას და ტურიზმის სწორად დაგეგმილი პოლიტიკის ეფექტიანობას.

ტურიზმის განვითარება მუნიციპალიტეტისთვის არ წარმოადგენს მხოლოდ ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას — ეს არის ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი.

**2025 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პერიოდში შეადგენდა 21 964 400 ლარს.**

**წლის განმავლობაში მოხდა შემოსავლების გაზრდა კერძოდ:**

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 5 177 253 ლარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 572 000 ლარი
- მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამის ფარგლებში 218 681 ლარი
- მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის, ბრიკეტების შესაძენად და საჯარო სკოლების სარეაბილიტაციოდ 1 044 800 ლარი.
- დამატებითი ღირებულების გადასახადი 15 000 000 ლარი
- ქონების გადასახადი 6 000 000 ლარი

ჯამში 2025 წლის ბიუჯეტი მიმდინარე პერიოდში შეადგენს 31 234 800 ლარს.

**აქედან ბიუჯეტის გადასახდელები ნაწილდება შემდეგნაირად:**

- შრომის ანაზრაურება 3 750 000 ლარი
- საქონელი და მომსახურება (მიმ. ხარჯები + გარე განათება+წყლის ხარჯი) 2 829 000 ლარი
- სესხის პროცენტი 10 000 ლარი

- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 6 ა(ა)იპ -სა და 1 შ.პ.ს -ს სუბსიდია 5 054 800 ლარი

ა(ა)იპ წალკის კომპლესქური სასპორტო სკოლა 660 000 ლარი
ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი 440 000 ლარი
ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა 210 000 ლარი
ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისა და კეთილმოწყობის სამსახური 1 874 400 ლარი
ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სკოლამდელი აღზრდის ცენტრი 1 200 000 ლარი
ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 197 400 ლარი
შ.პ.ს წალკის მუნიციპალიტეტის ავტოსერვისი 240 000 ლარი

- ქვემო ქართლის განვითარების სააგენტოს გრანტი 35 000 ლარი.
- სოციალური დახმარება 1 000 000 ლარი.
- სხვა ხარჯები (საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ხარჯი) 132 000 ლარი.
- არაფინანსური აქტივები (კაპიტალური) 18 367 300 ლარი.
- სესხის ძირი 56 000 ლარი.

**არაფინანსური აქტივები ნაწილდება შემდეგნაირად:**

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებით 6 465 000 ლარი.
- სახელმწიფო პროგრამების თანადაფინანსებებისთვის და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 11 678 400 ლარი .

საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ გამართული იქნა შეხვედრები მოქალაქეებთან მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში, სადაც მოსახლეობის მიერ შერჩეული იქნა მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხა, რის გათვალისწინებითაც წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიმდინარე წელს განხორციელდა შემდეგი პროექტები:

**ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული ინფრასრტრუქტურული პროექტები:**

- სოფ. დარაკოვი-წინწყაროს დამაკავშირებელ გზაზე 5 100 მეტრ მანძილზე მიმდინარეობს ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 3 571 140 ლარს (დასრულდება 2026წ);
- ქ. წალკაში 6 000 მეტრ მანძილზე მიმდინარეობს ქუჩების მოასფალტება, რომლის ღირებულება შეადგენს 3 297 101 ლარს (სამშენებლო სამუშაოები დასრულდება 2026 წელს);
- სოფ. ავრანლოში მიმდინარეობს სკვერის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 505 000 ლარს (დასრულდება 2026წ);
- სოფ. ავრანლოში განხორციელდა სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1 509 004 ლარი;
- ქ. წალკის ცენტრში მოეწყო შადრევანი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 280 045 ლარი;
- ქ. წალკაში განხორციელდა გმირთა მემორიალისა და სკვერის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 283 447 ლარი;
- ქ. წალკაში განხორციელდა არისტოტელეს ქუჩაზე არსებული 3 სკევრის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებამ შეადგინა 102 994 ლარი;
- სოფ. კუშში მიმდინარეობს სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება შეადგენს 70 254 ლარს (დასრულდება 2026წ);
- სოფ. ახალშენში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომლის ღირებულება შეადგენს 1 041 856 ლარს (დასრულდება 2026 წელს);
- საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა 400 ცალი 1 100 ლიტრიანი პლასმასის საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერი, რომლის ღირებულება შეადგენს 200 000 ლარს;
- ქ. წალკაში განხორციელდა შშმ პირთა სახლის სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 162 425 ლარი;
- განხორციელდა ქ. წალკაში მდინარისა და სოფ. არწივანში სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 68 185 ლარი;
- სოფ. ჩივთ-კილისაში რიტუალების სახლს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 31 998 ლარი.

**საერთო ჯამი შეადგენს - 13 191 155 ლარს.**

**სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სოფ. კუშში მდინარე ქციაზე მოეწყო საავტომობილო ხიდი რომლის ღირებულებამ შეადგინა 1 270 000 ლარი**

**რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- სოფ. ოზნი - კიზილ-კილისას დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მოეწყო 2 600 მეტრი სიგრძის ბეტონის საფარი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 2 251 675 ლარი;
- სოფ. აშკალა - გუმბათის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე განხორციელდა 4 100 მეტრი სიგრძის ბეტონის საფარი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 3 000 000 ლარი;
- განხორციელდა სოფ. ხანდო, რეხა, ავრანლო და სოფ. გუმბათის სასმელი წყლის სისტემის სამშენებლო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 4 256 000 ლარი;
- სოფ. ნარდევანი - კუშის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მიმდინარეობს 1 117 მეტრი სიგრძის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 1 096 800 ლარს (სამშენებლო სამუშაოები დასრულდება 2026 წელს);
- მუნიციპალიტეტის დაბა ბედიანში მისასვლელ 3 135 მეტრ საავტომობილო გზაზე მიმდინარეობს ასვალტო ბეტონის საფარის მოწყობა, რომლის ღირებულება შეადგენს 1 787 800 ლარს;

**მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- სოფლებში: ავრანლო, არსარვანი, არწივანი, ახალშენი, გოდაკლარი, თეჯისი, კიზილ-კილისა, ლივადი, ჩოლიანი, კოხტა-ჩრდილისუბნის დამაკავშირებელი შიდა გზების მოხრეშვა/რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა, რომელთა ღირებულებამ საერთო ჯამში შეადგინა 200 026 ლარი;
- სოფ. არწივანში მოეწყო სკვერი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 29 652 ლარი;
- სოფ. განთიადში განხორხორციელდა მდინარის კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 29 362 ლარი;
- სოფ. რეხაში განხორციელდა გაბიონის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 29 982 ლარი;
- სოფ. ნარდევანში, ავრანლოსა და დაბა ხრამჰესში რეაბილიტირდა სპორტული მოედნები, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 23 529 ლარი;
- დაბა ბედიანში განხორციელდა წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 15 492 ლარი;
- სოფ. კაბურში, სამებასა და დაშბაშში განხორციელდა არსებული სარიტუალო დარბაზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლთა ღირებულებამ შეადგინა 45 987 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 572 000 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებისთვის გამოიყო 1 013 713 ლარი. მუნიციპალიტეტის 43 დასახლებაში ჩატარებული მოსახლეობის საერთო კრებების თანახმად გადაწყდა მუნიციპალიტეტისთვის 5 ერთეული საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეძენა (4 ავტობუსი და ერთი მიკროავტობუსი), რაზედაც ჯამში დაიხარჯა - 1 585 713 ლარი.

**„წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 დეკემბრის N12 დადგენილების საფუძველზე, რომელიც დაფინანსებულია 1 000 000 ლარით ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გაიცემა ფულადი და არაფულადი დახმარებები.**

**ფულადი სოციალური დახმარება გაიცა:**

- დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი დახმარება გაეწია ერთ ოჯახს 400 ლარის ოდენობით.
- 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებზე - დახმარება გაეწია 1 ოჯახს , 1 000 ლარის ოდენობით;
- ხანდაზმულ (90 და მეტი წლის ასაკი) პირებზე - დახმარება გაეწია 101 ბენეფიციარს, 39 600 ლარის ოდენობით;
- სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულით 65 000-დან 90 000-მდე) - დახმარება გაეწია 511 ოჯახს , 144 100 ლარის ოდენობით;
- სტიქიური მოვლენების ან/და ხანძრის შედეგად უსახლკაროდ ან მძიმე საცხოვრებელ პირობებში დარჩენილ ოჯახებზე - დახმარება გაეწია 18 ოჯახს, 29 506 ლარის ოდენობით;
- მრავალშვილიან ოჯახებზე - დახმარება გაეწია 51 ოჯახს , 24 500 ლარის ოდენობით;
- მარჩენალდაკარგულ ოჯახებზე - დახმარება გაეწია 30 ოჯახს , 13 800 ლარის ოდენობით;
- მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებსა და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე - დახმარება გაეწია 92 ბენეფიციარს, 34 200 ლარის ოდენობით;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, მარტოხელა მოქალაქეთა და სოციალურად დაუცველთა დაკრძალვასთან დაკავშირებულ სარიტუალო მომსახურებაზე - დახმარება გაეწია 80 ოჯახს, 73 500 ლარის ოდენობით;
- თირკმლის ჩანაცვლების (დიალეზი) თერაპიაზე მყოფ მოქალაქეებზე სოციალური დახმარება გაიცემა ტრანსპორტირებისათვის ყოველთვიურად 450 ლარის ოდენობით – მიმდინარე წელს დახმარება გაეწია 6 ბენეფიციარს, 27 050 ლარის ოდენობით;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე (სარეიტინგო ქულით 100000-მდე) პირის მიერ საჯარო სკოლის წარჩინებით (ოქროს ან ვერცხლის მედლის კანდიდატი) დამთავრების შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია - 15 პირს, 7 300

ლარის ოდენობით;

- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა დახმარება (არასრულწლოვანი შვილის/შვილების ყოლის შემთხვევაში) გაეწია – 23 ბენეფიციარს, 11 500 ლარის ოდენობით;
- არაფულადი სოციალური დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრებ მოქალაქეებზე, არასრულწლოვან ბავშვებზე, აგრეთვე იძულებით გადაადგილებული ოჯახების სამედიცინო მომსახურებაზე (ოპერაცია), რომლებიც ნაწილობრივ ფინანსდებიან ან არ ფინანდებიან სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით - მიმდინარე წელს სამედიცინო მომსახურება (ოპერაცია) დაუფინანსდა 330 ბენეფიციარს, 275 336 ლარის ოდენობით.
- ძვირადღირებული მედიკამენტები დაუფინანსდა 37 ბენეფიციარს - 44 661 ლარის ოდენობით;
- კომპიუტერული ტომოგრაფია დაუფინანსდა 18 ბენეფიციარს - 5 510 ლარის ოდენობით;
- მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია დაუფინანსდა 83 ბენეფიციარს - 16 600 ლარის ოდენობით;
- კორონოგრაფია დაუფინანსდა 81 ბენეფიციარს - 40 500 ლარის ოდენობით.

საერთო ჯამში პროგრამის ფარგლებში გაიცა - 789 063 ლარი.